აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№75 (25.099) შაბათი, 15 - 17 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 27-32 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 25 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით.

კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში ინვესტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, მთავრობას საქართველოს ეკონომიკის გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს და მიღწეული მაჩვენებლები ისტორიულია. სიტყვით გამოვიდნენ გაერთიანებული სამეფოს ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონული დირექტორი კავკასიაში კატარინა ბიორლინ ჰანსენი.

* * *

ძალაში შევიდა შეთანხმება „საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მოქალაქეთა ორმხრივი უვიზო მიმოსვლის შესახებ“, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის მიერ, ხელი მოეწერა ერევანში, 2023 წლის 12 იანვარს. შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეებისათვის ურთიერთმიმოსვლის კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობების შემოღებას. საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ იმოგზაურონ საქართველოდან სომხეთში და პირიქით ბიომეტრიული პირადობის მოწმობით.

* * *

უკრაინის უმაღლესი რადა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, პატიმარ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო, ჰუმანიტარული აქტის განხორციელების და მისი შეწყალების მოთხოვნით მიმართავს. გარდა ამისა, 44 ევროპარლამენტარისგან შემდგარი ჯგუფი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, მხარი დაუჭირონ მიხეილ სააკაშვილის გადაყვანას ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში, სადაც ის საჭირო სამედიცინო დახმარებას მიიღებს.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა გავრცელებულ ინფორმაციას, რომ გიორგი ვაშაძე შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობის“ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი იყოს, სისულელე უწოდა. მისი განცხადებით, „სტრატეგია აღმაშენებელთან“ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის შესახებ რაიმე სახის კონსულტაცია არ მიმდინარეობს. „რაც შეეხება თანამშრომლობას და კონსულტაციას, დაწყებული გვაქვს და ვსაუბრობთ, გავაგრძელებთ კონსულტაციებს, მაგრამ ეს კონსულტაციები არ ეხება თანამდებობებს“, - აღნიშნა მან.

მოამზადა
ია ფფალიძემ

„კვლავ გავაგრძელებთ სპორტსმენების მხარდაჭერას და მათთვის სათანადო პირობების შექმნას“

პოლონეთში მიმდინარე 2023 წლის მესამე ევროპულ თამაშებზე ჩვენმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ბათუმელმა ზურაბ კინწურაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა ტაეკვანდოში, 74კგ წონით კატეგორიაში. ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში გიგი პაქსაძე ევროპის ჩემპიონი გახდა. ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 2023 წლის ევროპის ახალგაზრდულ (U20) ჩემპიონატში აჩიკო ბოლქვაძე მეოთხედ დაეუფლა ევროპის ჩემპიონის ტიტულს.

ევროპის ჩემპიონატზე საპრიზო ადგილზე გასულ და გამარჯვებულ სპორტსმენებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირმა ნიუარაძე შეხვდნენ. მათ თითოეულ მათგანს მიღწეული წარმატება მიულოცეს და მადლობა გადაუხადეს აჭარის რეგიონის წარმოჩენისთვის.

თორნიკე რიუვაძემ ახალგაზრდა სპორტსმენებს მხარდაჭერა აღუთქვა და წარმატებები უსურვა მომავალ ასპარეზობებზე.

„ვულოცავ ჩვენს სპორტსმენებს 2023 წლის მესამე ევროპულ თამაშებზე მიღწეულ წარმატებას. ვამაყობ მათ მიერ ყოველწლიურად გაზრდილი შედეგებითა და არაერთი საერთაშორისო წარმატებით. ჩვენ კვლავ აქტიურად გავაგრძელებთ სპორტის განვითარებას რეგიონში, სპორტსმენების მხარდაჭერას და მათთვის სათანადო პირობების შექმნას. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ უფრო დიდი გამარჯვებები გველის,“ -აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ.

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონატებში გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები, ასევე, მათი მწვრთნელები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვნად გაზრდილ საპრიზო თანხას წელსვე მიიღებენ.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ გაგრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და სპორტსმენებისთვის საერთაშორისო სტანდარტების სავარჯიშო სივრცეების მოწყობა.

ანკა ჩხიკვაძე

ვიცე-მერმა ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა

ბათუმში, ნიუარაძის ქუჩაზე ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. აქ 2 ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია წელს, ნოემბერში დასრულდება, რისთვისაც 760 ათას ლარზე მეტი დაიხარჯება

მიმდინარე სამუშაოები ბათუმის ვიცე-მერმა ლევან დავითაძემ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. როგორც მან აღნიშნა, წელს ბათუმში 23 ხიდის მოწყობაა გათვალისწინებული. სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულდა 16 მისამართზე, 7-ზე კი გრძელდება. აღნიშნული პროექტებისთვის ბიუჯეტიდან 3 მილიონ 500 ათას ლარზე მეტი გამოიყო.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში, ნიუარაძის ქუჩაზე უკვე ჩაუტარდა რეაბილიტაცია ნაპირსამაგრ კედლებსაც. ვიცე-მერი აქ არსებულ ვითარებასაც გაეცნო.

ანკა ჩხიკვაძე

ქობულეთში ჩილიმის არომატების საწარმო გაიხსნა

2

«ჩვენს ქვეყანაში დომინანტური პოზიცია მაინც დოლარს და ევროს ექნება»

3

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ქობულეთში ჩილიმის არომატების საწარმო გაიხსნა

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ქობულეთში ახალი საწარმო გაიხსნა. სააგენტოს ინფორმაციით, ჩილიმის არომატების საწარმო ლიბანური ინვესტიციით შეიქმნა და ინვესტიციის მოცულობა 5.5 მლნ ევროს შეადგენს

„სააგენტომ შპს „ეიჩ ჰუკას“ ინვესტიციების მიმართულებით საკონსულტაციო და ასევე, ფინანსური დახმარება გაუწია - საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში, საწარმომ 90%-მდე გარანტია მიიღო. სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა ჩილიმის საწარმოს მშენებლობა, საჭირო ნედლეულის და ჩილიმის თამბაქოს დამაფასოებელი დანადგარის შეძენა. ჩილიმის არომატების ქარხანა ქობულეთის სოფელ მუხაესტატეში 10 000 კვმ მიწის ნაკვეთზეა განთავსებული და ის მსგავსი ტიპის პირველი საწარმოა საქართველოში. საწარმოში მზადდება მოსაწევი ყალიონი, ასევე, ჩილიმის 112 სახეობის არომატიზებული პროდუქტი. საწარმოო ხაზი 2023 წლის იანვრის თვიდან გაიხსნა და კომპანია უკვე გადის საერთაშორისო ბაზარზე წარწერით - „სიამაყით დამზადებულია საქართველოში“. ამჟამად, კომპანიაში დასაქმებულია 35 ადამიანი, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობა. კომპანია წლის ბოლომდე დასაქმებულთა რაოდენობის გაორმაგებას გეგმავს. ბრენდი H HOOKAH რეგისტრირებულია WIPO-ს საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელიც ასოთხმოცამდე ქვეყანას აერთიანებს და მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო დისტრიბუცია საქართველოს სახელით განხორციელდება. ქართული ბრენდი კონკურენციას უწევს საერთაშორისო ბრენდებს და ერთ-ერთი მოწინავეა ჩილიმის ბაზარზე“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ახალი სამწლიანი პროექტი

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

„გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ ორგანიზებით, გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ წარდგინება გაიმართა

პროექტის მიზანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და შერჩეულ 8 მუნიციპალიტეტთან (ახალციხე, დუშეთი, თელავი, ოზურგეთი, რუსთავი, ქედა, ხაშური, ხარაგაული) მჭიდრო სტრატეგიული თანამშრომლობით, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესება, ადგილობრივი და ეროვნული ჩარჩოს დახვეწა. „გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს“ მხარდაჭერით, „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება“ საქართველოში 1992 წლიდან წარმატებით მუშაობს. 2023 წლის აპრილიდან პროექტმა რეგიონული მასშტაბით ახალი სამწლიანი პროექტის, „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ განხორციელება დაიწყო. პროგრამა დაეხმარება შედეგზე ორიენტირებულ, გენდერულად სენსიტიურ და მონაწილეობით საბიუჯეტო პროცესებს ადგილობრივ დონეზე.

ღონისძიებას, რომელიც სასტუმრო „რუმსში“ გაიმართა, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე ესწრებოდნენ.

აჭარაში უცხოელი ჟურნალისტებისა და ბლოგერების მოწვევა გრძელდება

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

სამიზნე ქვეყნებში რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით, ჟურნალისტებისა და ბლოგერების მოწვევა გრძელდება, - ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, ამჯერად რეგიონს აზერბაიჯანელი ინფლუენსერები სტუმრობდნენ და მიმდევრებს აქტიურად უზიარებდნენ რეგიონში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

დეპარტამენტის ცნობით, ბლოგერებმა ბათუმის ტურისტულად მიმზიდველი ადგილები და მთიანი აჭარა მოინახულეს, სადაც თავადვე გამოსცადეს ტურისტული სერვისები და პროდუქტები.

„ინფლუენსერები რეგიონს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით სტუმრობენ. უწყება რეგიონში უცხოელი ჟურნალისტებისა და ტურისტული სააგენტოების ჩართულობით პრეს-ინფოტურების ორგანიზებას წლის ბოლომდე აქტიურად გააგრძელებს.

წელს აჭარის ტურისტულ პროდუქტებს უკვე სტუმრობდნენ პოლონელი, გერმანელი, უზბეკი, ყაზახი, სერბი, კორეელი, ებრაელი, თურქი და არაბი ჟურნალისტები, რომელთა მიერ მომზადებული სტატიები, სიუჟეტები და ბლოგები სამიზნე ქვეყნების რეიტინგულ მედიასაშუალებებში გამოქვეყნდა. 2022 წელს რეგიონს 500-მდე ჟურნალისტი, ბლოგერი, ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი სტუმრობდა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ელენე ახვლედიანის შემოქმედებაზე ისაუბრეს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ხელოვნების მუზეუმში მხატვარ ელენე ახვლედიანის შემოქმედებაზე და ნახატზე „ხედი აივნიდან“ ისაუბრეს.

შეხვედრა ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგო დოლიძემ გახსნა. ისაუბრა ხელოვნების როლზე და მის მნიშვნელობაზე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე, სამომავლო აქტივობებზე და ღონისძიებებზე. მუზეუმის გიდის ირინა სტურუას მეშვეობით სტუმრებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ფერმწერ, გრაფიკოს, თეატრისა და კინოს მხატვარ ელენე ახვლედიანის შემოქმედებაზე. შეხვედრის შემდგომ სტუმრებმა გალერეაში ნათია ხუციშვილის პერსონალური გამოფენაც დაათვალიერეს.

როგორც ხელოვნების მუზეუმის მმართველმა აღნიშნა, მსგავსი შეხვედრები ხშირად ჩატარდება სხვადასხვა მიზნობრივი აუდიტორიისათვის.

უკრაინა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაადასტურა, რომ უკრაინამ დაპირებული კასეტური საბრძოლო მასალა უკვე მიიღო. „ამ დროისთვის კასეტური საბრძოლო მასალები მართლაც ჩასულია უკრაინაში“, - განაცხადა გაერთიანებული შტაბის ოპერაციების დირექტორმა, გენერალ-ლეიტენანტმა დუგლას სიმსმა. ამასთან, ამერიკელ გენერალს არ დაუკონკრეტებია, გამოიყენეს თუ არა უკრაინელმა ჯარისკაცებმა მიღებული კასეტური საბრძოლო მასალა. შეგახსენებთ, მანამდე, ოპერატიულ-სტრატეგიული ჯგუფის, „ტავრიას“ მეთაურმა, გენერალმა ალექსანდრე ტარნავსკიმ განაცხადა, რომ უკრაინამ აშშ-სგან კასეტური საბრძოლო მასალები მიიღო, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოუყენებია. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გასულ კვირას აღნიშნა, რომ რთული გადაწყვეტილება მიიღო და კასეტური საბრძოლო მასალის უკრაინისთვის გადაცემას მხარი დაუჭირა.

* * *

უკრაინის დაზვერვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელ კირილ ბუდანოვის განცხადებით, 2014 წელს უკრაინამ რუსეთთან საინფორმაციო ომი წააგო, ახლა კი საინფორმაციო ომს თავად რუსეთი აგებს. „2014 წელს ჩვენ სრულიად წავაგეთ საინფორმაციო ომი და ომში, რომელიც 2022 წელს დაიწყო, სულ სხვანაირად დავიწყეთ მოქმედება. ახლა რუსები აგებენ საინფორმაციო ომს“, - განაცხადა ბუდანოვმა. მისი თქმით, გასულ წელს სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე ზუსტად იწინასწარმეტყველა, რომ რუსეთი უკრაინაში შეიჭრებოდა. „ვინ აღმოჩნდა მართალი? ჩვენ. ჩვენ გვყავს ჩვენი საკუთარი წყაროები, ასე ვთქვათ, პუტინთან უახლოეს კაბინეტებში. ამიტომ, ჩვეულებრივ ვიცით, რა ხდება“, - აღნიშნა ბუდანოვმა.

* * *

ნატოს სამიტის ფარგლებში, რომელიც ამ კვირაში ვილნიუსში ჩატარდა, უცხოელი პარტნიორები უკრაინას 1.5 მილიარდ ევროზე მეტ სამხედრო დახმარებას დაჰპირდნენ. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ოლექსი რეზნიკოვმა განაცხადა. მან Twitter-ზე დაწერა, რომ ვილნიუსში შეხვედრები ძალიან პროდუქტიული იყო. მინისტრმა დაასახელა შვიდი ქვეყანა, რომლებმაც სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი გამოაცხადეს, კერძოდ, ახსენა გერმანია 700 მილიონი ევროს ღირებულების ახალი დახმარების პაკეტით, რომელშიც შედის 25 ტანკი Leopard 1A5, 40 Marder 1A3-ის ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 2 Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემა, 5 Bergepanzer 2-ის საჰაერო თავდაცვის სისტემა და საბრძოლო მასალა. რეზნიკოვმა, ასევე, ჩამოთვალა ავსტრალიის, ნორვეგიის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდების და კანადის მიერ გამოცხადებული სამხედრო დახმარების პაკეტები.

* * *

კიევის საკრებულოს დეპუტატებმა ქალაქის ტერიტორიაზე რუსულენოვანი კულტურული პროდუქტის საჯარო გამოყენება აკრძალეს - საუბარია სიმღერებზე, კონცერტებზე, თეატრალურ წარმოდგენებზე. საკრებულოს განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის ხელმძღვანელის მოადგილე ვადიმ ვასილჩუკის თქმით, „აუცილებელია, საბოლოოდ, ერთხელ და სამუდამოდ, შეიზღუდოს რუსულენოვანი კულტურული პროდუქტი უკრაინის დედაქალაქის ტერიტორიაზე“. გადაწყვეტილების თანახმად, კულტურის სფეროში საქმიანობის განხორციელების პროცესში შექმნილი რუსულენოვანი საქონლისა და მომსახურების საჯარო გაშუქება და დემონსტრირება აიკრძალა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„ჩვენს ქვეყანაში დომინანტური პოზიცია მაინც დოლარს და ევროს ექნება“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

პანდემიამ, რუსეთის მიმართ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა და რუსეთ-უკრაინის ომმა მსოფლიო არასტაბილური გახადა, ერთი მხრივ, ცივილიზებული ქვეყნები, აშშ-ის და ევროკავშირის სახით, უკრაინას ყოველმხრივ ეხმარებიან სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში, საპირისპიროდ, ოფიციალური მოსკოვი და მისი მოკავშირეები ცდილობენ გარკვეულწილად აშშ-ის გავლენის განეიტრალებას სხვადასხვა საშუალებით



*მაგალითად, კრემლი ცდილობს, საერთაშორისო ვაჭრობაში ამერიკული დოლარი არ გამოიყენოს. ამ მხრივ გამოჩნდნენ სხვა აქტორებიც, მათ შორის საყურადღებოა ჩინეთი. მასა და რუსეთს შორის ურთიერთობაში უკვე გამოიყენება ჩინური იუანი. გარდა ამისა, როგორც ექსპერტები აცხადებენ, მსოფლიოში დედოლარიზაციის პროცესი დაწყებულია, რაც ბევრ კითხვას წარმოშობს. ამ და სხვა საკითხებზე ბსუ-ის პროფესორს, ეკონომიკის ექსპერტ **მურმან ცეცხლაძეს** ვესაუბრებით.*

- როგორი ეკონომიკური პროცესებია მოსალოდნელი ახლო მომავალში, საერთაშორისო ვაჭრობაში დედოლარიზაციის პროცესი რას გამოიწვევს და რატომ ატეხეს განგაში ამერიკელმა ეკონომისტებმა?

- დედოლარიზაციის მოსალოდნელ შედეგებზე რომ ვისაუბროთ, ჯერ გავარკვიოთ, რამ განაპირობა დოლარიზაცია. რომელიმე ვალუტის საერთაშორისო აღიარება უმთავრესად ამ ვალუტისადმი მაღალ ნდობაზეა დამოკიდებული, რომელიც, უპირველესად, განმტკიცებული უნდა იყოს ამ ვალუტის ემინენტი ქვეყნის ეკონომიკით, მაგრამ მხოლოდ ეკონომიკა არ არის საკმარისი, ამისათვის საჭიროა მაღალი ნდობა ამ ქვეყნისადმი, რაც, ეკონომიკურის გარდა, პოლიტიკურ და, ზოგადად, ქვეყნის ინსტიტუციურ წყობაზეც არის დამოკიდებული. აშშ წლების განმავლობაში ხასიათდება ამ თვისებებით. ამიტომ, სწორედ დოლარი იქცა ერთ-ერთ ყველაზე სანდო ვალუტად. როცა ცალკეულ ქვეყნებს ექმნებოდათ ეკონომიკური პრობლემები, ხშირად მიმართავდნენ ამერიკულ დოლარს ტრანსაქციების, ვაჭრობისა თუ რეზერვების შექმნისას. დოლარიზაციის განმტკიცებას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო 1944 წლის ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებამ, რომლითაც, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა მსოფლიოს ახალი ეკონომიკური სისტემა. შეთანხმება ეფუძნებოდა წამყვანი ეკონომიკის მქონე 44 ქვეყნისთვის ფიქსირებულ გაცვლით კურსს აშშ-ის დოლართან მიმართებაში. 1973 წელს გაცვლითი კურსის კრიზისების სერიამ ამ სისტემის რღვევა გამოიწვია. ამით დასრულდა „ბრეტონ-ვუდსის პერიოდი“ და, შეიძლება ითქვას, აქედან დაიწყო დედოლარიზაციის პროცესი. თანამედროვე ეტაპზე დედოლარიზაციის საკითხი დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დააყენა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ. რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით რუსეთისადმი დაწესებული სანქციები შეიძლება მივიჩნიოთ დედოლარიზაციის შეუქცევადი პროცესის დასაწყისად. უკრაინის ომის დაწყებიდან ერთი თვის თავზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მმართველი დირექტორის მოადგილე გიტა გოპინათმა წინასწარ განჭვრიტა, რომ დასავლეთის დაწესებულმა სანქციებმა „შეიძლება დოლარის ბატონობას ბოლო მოუღოს“. ზუსტად ასე მოხდა, როდესაც ინდოეთმა რუსეთთან დოლარით დადებული არადენომინირებული ენერგეტიკული გარიგებებით დედოლარიზაციის პროცესი დააჩქარა. უდავოა, რომ მთავარი ფაქტორი, რაც სახელმწიფოებს ამჟამინდელ მსოფლიო ფინანსურ სისტემაზე უარის თქმას აიძულებს, არის შეერთებული შტატების მთავრობის შესაძლებლობა და მუდამ მზარდი სურვილი, რომ დოლარი თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ იარაღად გამოიყენოს. ეს ფინანსური სისტემა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამოქმედდა, თანამედროვე ეტაპზე კი ამერიკის შეერთებული შტატები ამ ბერკეტს კარგავს.

- ცნობილი გახდა, რომ ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა ერთიანი ვალუტის გამოშვებას აპირებენ...

- ალტერნატიული მსოფლიო საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც მოსკოვმა 2014 წელს, მას შემდეგ დაიწყო, როცა კოლექტიურმა დასავლეთმა ყირიმის ანექსიის გამო რუსეთის ფედერაციას სანქციები დაუწესა. 2015 წელს, შეიქმნა ახალი განვითარების ბანკი (NDB), რათა მოეხდინა BRICS-ის ქვეყნებსა და სხვა განვითარებად ეკონომიკებში რესურსების მობილიზება ინფრასტრუქტურისა და მდგრადი განვითარების პროექტებისთვის. ეს ბანკი ცნობილია როგორც „BRICS-ის ბანკი“, რადგან სწორედ BRICS-ის ქვეყნები არიან (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთი აფრიკა) ამ ბანკის დამფუძნებლები. დღეისთვის BRICS-ის ქვეყნებზე მოდის გლობალური მთლიანი სამამულო პროდუქტის 25 პროცენტი. ალტერნატიული მსოფლიო საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ კიდევ უფრო დაჩქარდა და გაფართოვდა სხვა ქვეყნების თანამონაწილეობით, რომლებიც ამ სისტემაზე გადასასვლელად კონკრეტულ ნაბიჯებს დგამენ. არაბთა გაერთიანებული საამიროები, ურუგვაი, ბანგლადეში და ეგვიპტე იყო ახალი წევრების პირველი ჯგუფი. ამჟამად აწარმოებენ მოლაპარაკებებს საუდის არაბეთთან მისი ორგანიზაციაში წევრად დაშვებაზე. NDB აფასებს საუდის არაბეთის შესაძლებლობებს თანხების მოზიდვაში იმ ფონზე, როდესაც უკრაინაში დაწყებული ომის შემდეგ გაჩნდა შეშფოთება ბანკის რუსეთზე დამოკიდებულებასთან დაკავშირებით - იგი, როგორც დამფუძნებელი წევრი, ბანკის აქციების დაახლოებით 19%-ს ფლობს. Financial Times-ის ინფორმაციით, NDB იძულებული გახდა, შეეჩერებინა თავისი $1,7 მილიარდი რუსული ინვესტიცია, ანუ მისი მთლიანი აქტივების დაახლოებით 6,7% და შეეწყვიტა ახალი რუსული პროექტების დაფინანსება, რათა დაერწმუნებინა ინვესტორები, რომ ის მოსკოვის წინააღმდეგ დასავლეთის სანქციებს ახორციელებს. NDB-ში რუსეთის გავლენები სუსტდება, მიუხედავად ამისა, ის მაინც რჩება ამ ბანკისა და მისი დამფუძნებელი ორგანიზაციის ერთ-ერთ გავლენიან წევრად, ასე რომ, ერთიანი ვალუტის ჩამოყალიბება გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება, რაც მრავალსპექტრიანია და არაა ადვილად დასაძლევი, მით უმეტეს, ისეთ რთულ ვითარებაში, როგორშიც თანამედროვე მსოფლიოა.

- თქვენი პროგნოზით, მსოფლიოში გლობალური ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმაცია რა შედეგით დამთავრდება?

- მიუხედავად იმისა, რომ დედოლარიზაციის პროცესი ახალ ფაზაში შევიდა, დოლარი მაინც ინარჩუნებს წამყვან პოზიციას. ბოლო მონაცემებით, გლობალური ვაჭრობის 88 პროცენტი დოლარით ხორციელდება, საერთაშორისო ტრანზაქციების 75% დოლარზე მოდის, საფინანსო ინსტიტუტებისა და კომერციული ბანკების რეზერვების 60% დოლარებშია დენომირებული. მსოფლიოს მასშტაბით გაცემული ვალდებულებებისა და ობლიგაციების 59% დოლარზე მოდის. ეს მდგომარეობა იმით არის განპირობებული, რომ იამაიკის შეთანხმების მიხედვით, რომელიც ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებების გაგრძელება იყო, ეროვნული ვალუტის მოცულობა მკაცრადაა დამოკიდებული რეზერვებზე, კერძოდ, დოლარზე. ვფიქრობთ, ის მომავალშიც ერთ-ერთი წამყვანი გლობალური სარეზერვო ვალუტა იქნება, თუმცა მისი პოზიციები არ იქნება ისეთი ძლიერი, როგორიც ადრე იყო. მიგვაჩნია, რომ უფრო მრავალპოლარული სავალუტო სისტემა ჩამოყალიბდება, ანუ, დოლარის გარდა, გლობალური სარეზერვო ვალუტის როლში სხვა ვალუტებიც გამოვა. ისმის კითხვა - რომელი? ვფიქრობთ, იმ ქვეყნების ვალუტა, რომელთა ეკონომიკაც წამყვან პოზიციებზეა მსოფლიოში, თუმცა თითოეულ მათგანს გარკვეული ნაკლოვანებები აქვს, რისგანაც თავისუფალია დოლარი.

- დედოლარიზაცია და სხვა სიახლეები (ახალი ვალუტის დამკვიდრება) საქართველოზე როგორ იმოქმედებს?

- ჩვენი სწრაფვა ევროკავშირისაკენ ურყევია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირედ ითვლება, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს მაღალი სავაჭრო ბრუნვა BRICS-ის ზოგიერთ ქვეყანასთან, ჩვენთან დომინანტური პოზიცია მაინც დოლარს და ევროს ექნება.

- მოსალოდნელია, რომ არჩევანის წინაშე დავდგეთ და... რა უნდა ავირჩიოთ?

- ეკონომიკაში მთავარი ის კი არაა, რომელი ვალუტა მოგვესურვება საერთაშორისო ტრანსაქციებში, არამედ რომელი სავალუტო ზონის ქვეყნებთან გვექნება დომინანტური სავაჭრო ურთიერთობა. დღეს ჩვენთვის უმთავრეს ვალუტად მაინც დარჩება დოლარი და ევრო, მაგრამ გაიზრდება ვაჭრობა იუანსა და რუბლში, შესაძლოა, ინდურ რუპიაშიც. გვექნება ვაჭრობა აგრეთვე თურქულ ლირაში და სხვა მეზობელი ქვეყნებისა თუ პარტნიორების ვალუტაშიც, ასე რომ, საქართველოზე დედოლარიზაცია გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს, მოხდება დოლარით ვაჭრობის გარკვეული დოზით ჩანაცვლება იუანით და რუბლით, მაგრამ რადიკალურ ცვლილებებს არ ველოდებით.

- ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი - რამდენად შესაძლებელია ამ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დროს მათმა ვალუტამ გლობალური მნიშვნელობა შეიძინოს?

- ამის მიღწევის მცდელობა ნამდვილად შეინიშნება ამ ეტაპზე. მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩინური იუანი დღეისათვის მესამე ადგილზეა ამერიკული დოლარისა და ევროს შემდეგ, თუმცა მასზე მოდის გლობალური ვაჭრობის მხოლოდ 3% და საფინანსო ინსტიტუტებისა და კომერციული ბანკების რეზერვების მხოლოდ 2,5%-ია დენომირებული იუანში. მისი მთავარი ნაკლი ის გახლავთ, რომ კომუნისტური ქვეყნის ვალუტაა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მისდამი ნდობას, მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩინეთს მიზნად აქვს დასახული, 2049 წელს იქცეს მსოფლიოს ნომერ პირველ ქვეყნად და ეს არცთუ უსაფუძვლო ამბციაა. თუ ეს ასე იქნება, ჩინური იუანის გლობალური როლიც მნიშვნელოვნად გაიზრდება. ჩინეთის ეკონომიკა დღითი დღე ძლიერდება. დღეს მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიის 129 სათავო ოფისი ჩინეთშია. მას აქვს მსოფლიოში უდიდესი სავალუტო რეზერვები, ხოლო განხორციელებული ინვესტიციებითა და საგარეო ვაჭრობით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში. ჩინეთი არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და წარმატებით აფორმებს ვაჭრობის ხელშეკრულებებს სხვა ქვეყნებთან. იგი ცნობილია შანხაისა და შენჟენის საფონდო ბირჟებით, რომლებიც ერთ-ერთი უდიდესი ბირჟებია თავიანთი კაპიტალიზაციითა და ვაჭრობის მოცულობით. შენჟენის ეკონომიკურმა განვითარებამ განაპირობა, რომ ქალაქი მოიხსენიება როგორც მსოფლიოს მომდევნო სილიკონის ველი. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იუენის გაძლიერებას. ამჟამად, ჩინეთი, რომელიც შეერთებული შტატების მთავარი ეკონომიკური კონკურენტია და ბრაზილია, რომელიც სამხრეთ ამერიკაში უდიდესი ეკონომიკის ქვეყანაა, ორმხრივ ვაჭრობას ეროვნულ ვალუტებში აწარმოებენ. პეკინმა მსგავსი სავალუტო გარიგებები რუსეთთან, თურქეთთან, პაკისტანსა და სხვა რამდენიმე ქვეყანასთანაც დადო. 2022 წლის თებერვალში, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (SCO) ბლოკში, რომელშიც გაერთიანებული არიან ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, პაკისტანი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი, შეთანხმდნენ, რომ ურთიერთვაჭრობისას უფრო მეტ უპირატესობას ეროვნულ ვალუტებს მიანიჭებენ. ინდოეთი, რომელიც ასევე შეერთებული შტატების მოკავშირედ ითვლება, ჩინეთის მსგავსად, საკუთარი რუპიის ინტერნაციონალიზაციისთვის ძალისხმევას აძლიერებს, რითაც ხელს უწყობს დედოლარიზაციის ტენდენციის შემდგომ განვითარებას. ინდოეთი რუსეთთან, მავრიკისთან, ირანსა და შრი-ლანკასთან უკვე რუპიით ვაჭრობს. ამ გარიგებებით ინდოეთი ანტიამერიკული პოზიციისკენ არ იხრება. ეს ყველაფერი ამ ქვეყნის ობიექტური ეროვნული ინტერესებით არის განპირობებული. ვაშინგტონის მიერ დაწესებული სანქციების გამო, დელის სხვა არჩევანი არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ თანდათანობით მოეძებნა სხვა გზები მოსკოვთან ენერგეტიკული გარიგებების დასადებად, რის შედეგადაც, ინდოეთის ეკონომიკა ჩინეთის ეკონომიკაზე ორჯერ უფრო სწრაფად გაიზარდა, რამაც ამ ქვეყნის მრავალპოლარული სისტემის ავანგარდში გადასვლას შეუწყო ხელი. ამგვარად, ინდოეთმა თავისი ობიექტური ეროვნული ინტერესების დაცვით, ისტორიის კურსი შეცვალა. ინდოეთის წამყვანი როლი დედოლარიზაციაში, რაც რუსეთთან დადებული დოლარით არადენომინირებული ენერგეტიკული გარიგებების მზარდი რაოდენობით გამოიხატება, გლობალურ ფინანსურ სისტემასაც ცვლის, რადგან დოლარის მრავალწლიანი ბატონობა სუსტდება. ამას, თავის მხრივ, უფრო მრავალპოლარული მდგომარეობისკენ მივყავართ. როგორც ჩანს, თავად შეერთებულმა შტატებმაც კი აღიარა, რომ არ შეუძლია ამ ტენდენციის შეცვლა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ინდოეთში ვიზიტისას, შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა ფაქტობრივად განაცხადა, რომ „ინდოეთს შეუძლია იმდენი იაფი რუსული ნავთობი შეიძინოს, რამდენიც სურს...“.

იხ. მე-7 გვ.

უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, იგი ვერ ხედავს იმის რეალურ პერსპექტივას, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს. „არ ვფიქრობ, რომ პუტინის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების რეალური პერსპექტივა არსებობს“, - თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა. მანამდე აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. „რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ ბირთვულ ომს გამარჯვებული არ ეყოლება და ეს ომი არ უნდა შედგეს, - აღნიშნა მან. სტოლტენბერგის თქმით, ნატოს მოკავშირეები ყურადღებით აკვირდებიან, რას აკეთებს რუსეთი.

* * *

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა პენტაგონს უფლება მისცა, ევროპაში 3 000-მდე რეზერვისტი გაგზავნოს. ისინი ოპერაცია Atlantic Resolve-ში ჩაერთვებიან, რომელიც ნატოსა და მის აღმოსავლეთ ფლანგს აძლიერებს. ახლახან ხელმოწერილი ბრძანებით, Atlantic Resolve განსაზღვრულია როგორც საგანგებო ოპერაცია, რომელიც რეზერვისტებს იმავე პრივილეგიას ანიჭებს, რასაც მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებს. აშშ-ს ევროპაში 100 000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს განთავსებული. მათი რაოდენობა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

* * *

„სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ ერთ-ერთი მიზეზი უკრაინის ნატოში გაწევრიანების საფრთხეა, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. მისივე თქმით, ნატოში გაწევრიანება არ გააუმჯობესებს უკრაინის უსაფრთხოებას, ზოგადად, მსოფლიოს კი გახდის ბევრად უფრო დაუცველს და გამოიწვევს დამატებით დაძაბულობას საერთაშორისო ასპარეზზე. „რაც შეეხება სხვადასხვა იარაღის მიწოდებას, ჩვენ ვხედავთ, რამხელა იმედს ამყარებენ დიდი სიშორის რაკეტების მიწოდებაზე, ამიტომ, ბრძოლის ველზე ახალი იარაღის მიწოდება არაფერს მოგვცემს, ეს მხოლოდ სიტუაციის გამწვავებას გამოიწვევს. ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება, უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება და, რა თქმა უნდა, მას აქვს უფლება, აირჩიოს გზა ამ მიზნის მისაღწევად, რომელიც ყველაზე სწორად მიაჩნია“, - აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი.

* * *

უკრაინის უმაღლეს რადაში დარეგისტრირდა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტებისადმი მიმართვის პროექტი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას უკავშირდება. უმაღლესი რადა მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტს, უზრუნველყოს უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებათა კომისარ დმიტრო ლუბინეცის სააკაშვილთან დაშვება. ასევე, თხოვნით მიმართავს მას, მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, განახორციელოს ჰუმანიტარული აქტი და შეიწყალოს უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი. რადა მიმართავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტებს, მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები და რეზოლუციები საქართველოს პრეზიდენტის მიერ სააკაშვილის შეწყალების აუცილებლობის შესახებ.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმი მისთვის სულიერი სიმშვიდის გარანტია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***გიორგი საკანდელიძე** თვითნასწავლი მხატვარია. დაამთავრა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. ხატავს პორტრეტებს, ანიმებს, ნატურმორტებს. ყველაზე მეტად გრაფიკული, ფანქარში შესრულებული ნამუშევრები მოსწონს. მისი ნახატები სიმეტრიულობით და სიზუსტით გამოირჩევა*

როგორ დაიწყო ხატვა და რა იყო მისი შთაგონების წყარო, ამ და სხვა თემებზე თავად გვესაუბრება.

- გიორგი, როგორი ბავშვი იყავით?

- როგორც მახსოვს, საკმაოდ მშვიდი, გაწონასწორებული, ამასთანავე, პერფექციონისტი ბავშვი ვიყავი. მიყვარდა, როცა ყველაფერი იდეალურად იყო, მიზიდავდა სიმეტრიულობა. ხატვას რაც შეეხება, ბავშვობიდან დავიწყე. მახსოვს, პირველად ტელევიზიით გავიდა ანიმაციური სერიალი „ნარუტო“. პირველი ორი სერიის ნახვის შემდეგ მომინდა, რომ პერსონაჟები ფურცელზე გადამეტანა, გამომივიდა კიდეც. სწორედ იქიდან მოვედი დღემდე - აკადემიურ ნამუშევრებამდე.

- რა შეიძლება გახდეს ხატვისთვის შთაგონების წყარო?

- ის ცვალებადია, ვფიქრობ, პარადოქსი იქნებოდა, რომ არ იცვლებოდეს. ჩემი ნახატებით არათუ სხვისთვის მსურს რამის თქმა, პირიქით, მინდა, სხვამ გამოთქვას აზრი მათ შესახებ. მნიშვნელობა არ აქვს, კრიტიკა იქნება თუ შექება, ორივე შემთხვევაში საინტერესო და სასიამოვნოა, როცა ჩემს ნახატს სრულიად უცხო ადამიანები განიხილავენ. ვხატავ როგორც შეკვეთით, ისე - პირადი სიამოვნებისთვისაც. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გავიაზრე და აღმოვაჩინე, რა ცვლილებებს ვსაჭიროებ, რა უნდა ვისწავლო და როგორ დავხვეწო ხატვის ტექნიკა.

- შემოსავალი თუ გაქვთ ნახატებიდან?

- ხატვა ჩემთვის შემოსავლის წყარო ნაკლებადაა. ძირითადად, ვჩუქნი ადამიანებს ნამუშევრებს, თუმცა, ძალიან სასიამოვნო იქნება, მეტი შეკვეთა და შემოსავალი თუ გამიჩნდება - მეც მჭირდება ფინანსური მხარდაჭერა.

- მხატვრობის გარდა, რა არის თქვენი ინტერესის სფერო?

- ზოგადად, ჩემი დევიზი ჯანსაღი ცხოვრებაა. როგორც ამბობენ, ჯანსაღ გონებას ჯანსაღი სხეული სჭირდება, ამიტომ სპორტის საკმაოდ ბევრი სახეობით ვყოფილვარ დაინტერესებული. საბოლოო არჩევანი ფრენბურთზე შევაჩერე, იგი ჩემს ყოველდღიურობად იქცა. წარმოდგენაც არ მინდა, რომ ველარ შევძლებ თამაშს მოხუცებულობაში. მოკლედ, სპორტი რომ კარგია, დავა არ სჭირდება, თუმცა სამსახური აუცილებელია. არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე და მინდა, ძალიან ძლიერი ვიყო პროფესიაში.

- როგორია თქვენთვის იდეალური სამუშაო გარემო?

- ის უნდა იყოს ჩემსავე სახლში, რა თქმა უნდა, ჩემ მიერ დაპროექტებულ შენობაში - ბუნებასთან ახლოს, დიდი ვერანდით, საიდანაც ზღვისა და მთის ხედები ენაცვლება ერთმანეთს.

- როგორია თქვენი თვალით დანახული ბათუმი?

- რაც კი დადებითადაა ნახსენები, ნაფიქრი თუ დაწერილი, ყველაფერი ხდება ბათუმში. ეს ქალაქი ჩემი სულიერი სიმშვიდის გარანტია, ულამაზესი, თითქოს პატარა, მაგრამ ამავდროულად - დიდი.

- ეს პროფესია რომ არა, რომელი სფეროთი დაინტერესდებოდით და რატომ?

- ალბათ, სამედიცინო სფეროთი. ადამიანების გადარჩენა და მეორედ სიცოცხლის შანსის მიცემა ყველაზე სასწაული შეგრძნებაა, ან ფსიქოლოგიას ავირჩევდი. ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა, როცა უამრავ ინფორმაციას იღებ, შედიხარ ადამიანის მდგომარეობაში და ეცნობი მის სამყაროს.

- სამომავლოდ რას გეგმავთ?

- მომავლის ზუსტად განსაზღვრა არავის შეუძლია. რასაკვირველია, ჩემთვის არსებობს გეგმები, მაგრამ მჯერა, რომ იქნება პატარ-პატარა დაუგეგმავი მომენტები, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს ჩემს ცხოვრებაზე. პირველ რიგში, ჩემი სურვილი და უკვე გეგმის ნაწილია, გავხდე წარმატებული არქიტექტორი და ვიპოვო ჩემი თავი. იმედია, ვნახავ ჩემი წარმატებებით გახარებულ ოჯახის წევრებს, სიხარულის ცრემლებით და ალბათ, ცოტა სიამაყის გრძნობით. ჩემს მომავალში არ არის სწრაფვა უაზრო ქონებისკენ. მგონია, ყველაფერი გადაჭარბებული, მათ შორის, ფულიც, მავნებელია. აუცილებლად შევეცდები, ცხოვრების ყველა საფეხური წარმატებით გავიარო და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა საკუთარი შრომით შეძენილი მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობებით დავაგვირგვინო. ამ ყველაფერში ოჯახი მეხმარება, წარმატებისკენ გადადგმული ჩემი თითოეული ნაბიჯი სწორედ მათი დამსახურებაა. ვიმედოვნებ, მათი სიყვარულითა და ჩემი ენერგიით ყველაფერს შევძლებ.

„ეტალონის“ ორი გამარჯვებული - ერთი სკოლიდან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ 2022 წლის ფინალურ კონკურსზე საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის მოსწავლე ლადო ფუტკარაძემ გაიმარჯვა. ამ დღეებში 2023 წლის ფინალური კონკურსი ჩატარდა. მანამდე წინასწარი კონკურსები გაიმართა. ქვეყნის მასშტაბით 27 მოსწავლე მონაწილეობდა ფინალში, შუახევიდან - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის XI კლასის მოსწავლე მამუკა ცინცაძე. იგი ლადოს თანაკლასელია. შეიძლება ითქვას, მან წელს ესტაფეტა ჩაიბარა და „ეტალონის“ 2023 წლის გამარჯვებული გახდა.

- აღსანიშნავია, რომ შუახევმა ეს ჯილდო ზედიზედ მეორედ მოიპოვა. ორივე გამარჯვებული ერთი სკოლიდანაა. კლასში, რომლის ხელმძღვანელია ირმა აბულაძე, სულ 6 მოსწავლეა, მათგან ლადო ფუტკარაძე, ნინი და მამუკა ცინცაძეები წარჩინებულები არიან. ისინი სხვა სასკოლო კონკურსებსა და ოლიმპიადებზეც აქტიურობენ. ვულოცავთ მოსწავლეს, სკოლას და მასწავლებლებს ამ გამარჯვებას, - გვითხრა შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ.

მამუკა ცინცაძე სკოლას მომავალ სასწავლო წელს ამთავრებს. წარჩინებული მოსწავლე მეზღვაურობაზე ოცნებობს.

„KOBULETI Fest“ 15 ივლისი

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმის შემდეგ ზაფხულის ფესტივალს უკვე ქობულეთი უმასპინძლებს. ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

„15 ივლისს ყველაზე ფერადი და საინტერესო ფესტივალი საზაფხულო დეკორაციებით გაფორმებულ ქობულეთის ცენტრალურ პარკში გაიმართება და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ფესტივალის მუსიკალური პროგრამა 18:00 საათზე, ადგილობრივი ბენდების კონცერტით გაიხსნება, თუმცა საბავშვო აქტივობებზე დასწრება მსურველებს 16:00 საათიდან შეეძლებათ.

ფესტივალის მთავარი შემსრულებელი იქნება ბენდი „მგზავრები“, რომელიც ყველასათვის საყვარელ ჰიტებს შეასრულებს. ფესტივალის ფარგლებში, პარკშივე იფუნქციონირებს ღია კაფე-ბარები, სადაც სასმელების, ნაყინის, ხილისა და კერძების შეკვეთა იქნება შესაძლებელი. დღის განრიგი: 16:00-18:00 DJ memanski; 18:00-19:00 ელანძე; 19:00-20:00 4up; 20:00-21:00 ჩემი ბენდი; 21:00-22:00 melomaniakk; 22:00-23:00 show time; 23:00-00:00 მგზავრები/Mgzavrebi; 00:00-02:00 dj.

ქობულეთის ფესტივალი ტრადიციული, გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდება. ის აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით გაიმართება“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჯაზმატარებელი 28 ივლისს თბილისი-ბათუმის მიმართულებით გამოგზაურებთ

ხატია იაშვილი 555 18 48 88

28-30 ივლისს ბათუმი რიგით მე-16 ჯაზფესტივალს უმასპინძლებს. „თიბისი კონცეპტის“ მხარდაჭერით და „ისთერნ ფრომოუშენის“ ორგანიზებით, ფესტივალი სტუმრებს განსაკუთრებულ საღამოებს ჰპირდება - სამივე საფესტივალო დღის სტუმრები მსოფლიოში აღიარებული არტისტები არიან.

ორგანიზატორების თქმით, ბათუმის წლევანდელი ჯაზფესტივალი განსაკუთრებული სიახლით გამოირჩევა - ფესტივალს და მის მსმენელს ახლად შექმნილი სივრცე - „სთეიჯ 17“ უმასპინძლებს. ვინაიდან აღნიშნული საკონცერტო სივრცე გადახურულია, წელს ბათუმური წვიმის გამო ნერვულობა არც ორგანიზატორებს და არც სტუმრებს მოუწევთ.

ფესტივალი 28 ივლისს გაიხსნება ქართული ბენდით - Bedford Falls, რომელიც წელს პირველად წარსდგება ჯაზფესტივალზე. ჯგუფმა პოპულარობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც მოიპოვა.

ფესტივალის გახსნის დღეს ქართველ შემსრულებლებს SOULTRAIN-ი ჩაანაცვლებს, რომელიც შვეიცარიელი დრამერისა და მუსიკალური პროდიუსერ ჯ. ჯ. ფლუეკის ბენდ JJ'S HAUSBAND-ის პროექტია და ბენდის მოღვაწეობის 10 წლის აღსანიშნავად შეიქმნა. პროექტში ბენდის წევრებთან ერთად მონაწილეობს ამერიკელი რეჯი სანდერსი - მუსიკოსების დიდი ხნის მეგობარი და პარტნიორი.

აღსანიშნავია, რომ პროექტი ამავე სახელწოდების საკულტო ამერიკულ სატელევიზიო გადაცემას უკავშირდება. მუსიკალური გადაცემა 1970 წლიდან 2006 წლამდე გადიოდა ეთერში. გადაცემის წამყვანი და პროდიუსერი დონ კორნელიუსი იყო. სწორედ ამ გადაცემის საშუალებით გაიცნო მსოფლიომ მუსიკის ბევრი ამომავალი ვარსკვლავი.

მარკუს მილერი თანამშრომლობდა ისეთ ლეგენდარულ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან მაილს დევისი, ჰერბი ჰენკოკი, ლუთერ ვარდოსი, დევიდ სანბორნი...

აღსანიშნავია, რომ ამერიკელი მუსიკოსი ბათუმს პირველი ვიზიტიდან 15 წლის შემდეგ, ევროპის საზაფხულო ტურნეს ფარგლებში ეწვევა.

ფესტივალს ამერიკული ბენდი Brooklyn Funk Essential-ი დახურავს. ამ კოლექტივის მუსიკალური კარიერა სამ ათეულ წელს ითვლის და ჯაზის, ფანკის, ჰიპ-ჰოპის ნაზავია. Brooklyn Funk Essential-მა სასცენო კარიერა ისე დაიწყო, როგორც ჯემპროექტმა - პროდიუსერ არტურ ბეიკერის სტუდიაში - Shakedown Studio.

დღემდე კოლექტივმა შვიდი ალბომი გამოუშვა და უამრავი ტურნე ჩაატარა მსოფლიოში. მათი პირველი, 1995 წელს გამოშვებული ალბომი - Cool & Steady & Easy ამერიკულმა ბილბორდმა წლის საუკეთესო ალბომად აღიარა ალტერნატიული R&B-ის კატეგორიაში, ხოლო მომდევნო, 1998 წლის ალბომი - In The BuzzBag-ი გრემიზე იყო ნომინირებული.

30-წლიანი ისტორიის მქონე BFE ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ბენდია ევროპისა და ამერიკის ფესტივალებზე.

გავრცელებული ინფორმაციით, სამივე საფესტივალო დღის შემდეგ - ყოველ საღამოს ჯემსეიშენები გაიმართება ივერია ბიჩის ტერიტორიაზე, სადაც მასპინძელი ჯგუფი The Next Movement-ი იქნება.



TNM JJ'S HAUSBAN-ი კიდევ ერთი პროექტია, რომელიც მუსიკოსების სამეულს აერთიანებს. ტრადიციულად, ჯემსეიშენს ფესტივალის მონაწილე ყველა მუსიკოსი დაესწრება.

შავი ზღვის ჯაზფესტივალის დღეების აღსანიშნავად, 28 ივლისს ორგანიზატორები მსურველებს სთავაზობენ ჯაზმატარებლით მომსახურებას, რომელიც თბილისიდან ბათუმში იმოგზაურებს.

მათივე თქმით, ჯაზმატარებელი თბილისიდან 28 ივლისს, 10:50 საათზე დაიძვრება. „მატარებელში მუსიკალურ გაფორმებაზე იზრუნებს SALIO. მგზავრობისას გათვალისწინებულია: ლანჩბოქსი და ტკბილეული; გამაგრილებელი სასმელები; სახალისო აქტივობები, საჩუქრები. რეგისტრაციისთვის აუცილებელია ვალიდაციის გავლა „თიბისი კონცეპტის“ ბარათითა და ფესტივალის ბილეთის უნიკალური კოდის მითითებით. ჯაზმატარებლით მგზავრობა უფასოა.

6 წლამდე ბავშვებისთვის რეგისტრაცია შესაძლებელია მშობლის ბილეთის უნიკალური კოდის მითითებით.

იჩქარეთ, ადგილების რაოდენობა შეზღუდულია!“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

თავდასხმა საქართველოს ელჩზე?

იაპონიის საზოგადოებრივ მაუწყებელ NHK-ის ინფორმაციით, იაპონიის პოლიცია საქართველოს ელჩ თემურ ლეჟავაზე შესაძლო თავდასხმას იძიებს.

გამოცემის თანახმად, ლეჟავას მძღოლმა პარასკევს, შუადღისას, პოლიციაში დარეკა და განაცხადა, რომ საქართველოს საელჩოსთან მამაკაცმა მას საყელოში ხელი სტაცა.

პოლიციისა და საელჩოს მძღოლის სიტყვებით, აღნიშნულმა მამაკაცმა ელჩის მანქანის წინ საკუთარი მანქანა გააჩერა და მძღოლის მხრიდან კარი გააღო.

ლეჟავას „ტვიტერის“ პროფილზე გამოქვეყნებულ ვიდეოზე ჩანს, რომ მამაკაცი ელჩის მანქანაში ჰყოფს ხელს.

გამოცემა აღნიშნავს, რომ ინციდენტის შედეგად მძღოლი და ელჩი არ დაშავებულან.

პოლიცია ვარაუდობს, რომ ინციდენტი სატრანსპორტო გაუგებრობას მოჰყვა. ამ დროისთვის მამაკაცი დაკითხვაზე იმყოფება.

ამირან გურიელიძე

რეკომენდაციები – სიცხეს რომ გავუმკლავდეთ

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ზაფხულის ცხელი დღეებისათვის მოსამზადებლად რეკომენდაციებს ავრცელებს

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განმარტავენ, მაღალი ტემპერატურა პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსახლეობა ქუჩაში გასვლას მოერიდოს დღის ყველაზე ცხელ პერიოდში, ამასთან, მიიღონ დიდი რაოდენობით სითხე. ცენტრის ცნობით, მნიშვნელოვანია მოქალაქეებმა არ დატოვონ ბავშვები და შინაური ცხოველები გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებებში.

„განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურა, რომელიც რამდენიმე დღე გასტანს, პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე - იწვევს როგორც გარკვეული დაავადებების ჩამოყალიბებას, ასევე, უკვე არსებულის გამწვავებას და, შესაძლოა, სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს. სიცხე განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის, მოხუცებისა და ქრონიკული დაავადების მქონე პირებისათვის. ძლიერმა სიცხემ შეიძლება გამოიწვიოს გულისცემის გახშირება და სუნთქვის გაუარესება.

მაღალი ტემპერატურით გამოწვეული მთავარი რისკებია: დეჰიდრატაცია (გაუწყლოვნება, ორგანიზმში წლის დეფიციტი); გადახურება, რომელმაც შესაძლოა გააუარესოს გულის დაავადებებისა და სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა; სითბური გამოფიტვა; სითბური დაკვრა.

იმისთვის, რომ სიცხეს გაუმკლავდეთ, შეეცადეთ საცხოვრებელ გარემოში შეინარჩუნოთ სიგრილე. სახლში ტემპერატურა შეამოწმეთ დილის 08:00 საათიდან 10:00 მდე, 13:00-ზე და ღამით 22:00 საათის შემდეგ. დღისით ოთახის იდეალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 32°-ს, ხოლო ღამით კი 24°-ს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებისათვის; აგრეთვე მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებების დიაგნოზი აქვთ. ღამით გააღეთ ფანჯრები და დატოვეთ ღია დილამდე, სანამ გარეთ სიგრილე იქნება (თუ ეს სახიფათო არ არის). დღისით შეამცირეთ სახლში სიცხის შეღწევა - დახურეთ ფანჯრები, ჟალუზები და დარაბები, განსაკუთრებით მზის მხარეს. შეძლებისდაგვარად გამორთეთ ელექტრომოწყობილობები და ხელოვნური განათება. მზის მხარეს ჩამოაფარეთ დამჩრდილავი ფარდები, ჟალუზები, დარაბები. ჩამოკიდეთ სველი პირსახოცები, რაც გაგრილებასთან ერთად სახლს დაატენიანებს. თუ სახლში გაქვთ კონდიციონერი, დაკეტეთ კარებები და ფანჯრები, რათა ეფექტურად გამოიყენოთ ელექტროენერგია. ეს აგაცილებთ ქვეყანაში ელექტროენერგიის დეფიციტის საფრთხეს.

ვენტილატორი გამოგადგებათ იმ შემთხვევაში თუ ტემპერატურა არ აღემატება 35°-ს. ხოლო თუ ტემპერატურა აღემატება 35°-ს, იგი ვერ მოგიხსნით სიცხესთან დაკავშირებულ პრობლემებს. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე. იმისთვის, რომ თავი აარიდოთ სიცხეს, გადადით ცხელი ოთახიდან გრილში, განსაკუთრებით ღამით. თუ შეუძლებელია სახლში სიგრილის შენარჩუნება, შეეცადეთ დღის 2-3 საათი გაატაროთ გრილ ადგილას. მოერიდეთ ქუჩაში გასვლას დღის ყველაზე ცხელ პერიოდში. მოერიდეთ მაღალინტენსიურ ფიზიკურ აქტივობას. თუ ეს აუცილებელია, მაშინ მის შესასრულებლად გამოიყენეთ დილით ყველაზე გრილი პერიოდი: 04:00 საათიდან 07:00 საათამდე. დარჩით/გაჩერდით ჩრდილში. არ დატოვოთ ბავშვები და შინაური ცხოველები გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებებში“,- აღნიშნულია რეკომენდაციებში.

რა უნდა ვიცოდეთ ბორელიოზის, იგივე ლაიმის დაავადებაზე?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბორელიოზი აქტუალური ზაფხულის პერიოდში ხდება. ეს დაავადება 1975 წელს იქნა აღწერილი აშშ-ში ალენ სტირის მიერ. 1982 წელს ისიც დადგინდა, რომ მას მიკროორგანიზმი, სახელად Borrelia burgdorferi იწვევს. დაავადებას ბორელიოზი ანუ ლაიმის დაავადება ეწოდა. დაავადება კანზე სპეციფიკური გამოვლინებით იწყება. ტკიპის კბენის ადგილზე ჩნდება დამახასითებელი ე.წ. ბეჭდისებრი, მრგვალი, წითელი ლაქა ღია ფერის ცენტრით. მას შესაძლოა თან ახლდეს გაციების ნიშნები - ცხელება, ცხვირიდან გამონადენი, კუნთების ტკივილი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დიაგნოზი სწორედ ამ ეტაპზე დაისვას და მკურნალობაც დროულად დაიწყოს

აღნიშნულ თემაზე მეცნიერებათა დოქტორი, ინფექციონისტი ***მაია გუწაშვილი*** *გვესაუბრება:*

- ბევრი ადამიანი ღელავს მწერის ნაკბენის გამო. ძირითადად ეს ნერვულობა უკავშირდება დაავადებას, რომელსაც ჰქვია ბორელიოზი (ლაიმის დაავადება). კარგია, რომ გაიზარდა ამ საკითხზე ინფორმირებულობა, მაგრამ ხშირად ამ დაავადებასთან დაკავშირებული შფოთვა გადაჭარბებულია, ნებისმიერი მწერის ნაკბენზე მიაქვთ ეჭვი ბორელიოზზე და ზოგჯერ არასაჭირო კვლევები და მკურნალობაც კი იწყება. ბორელიოზის გადამტანია ტკიპა, ძაღლის ტკიპა გადამტანი არ არის (ზოგიერთი სხვა ინფექციის გადამტანი შეიძლება იყოს). იგი ზომით ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ბორელიოზის გადამტანი ტკიპები, რომელთა ზომა არა უმეტეს 3 მმ-ია და შავი ფერისაა. ეს ტკიპები ძირითადად ტყიან და მცენარეებით მდიდარ გარემოში გვხვდება, ხოლო ძაღლის ტკიპა არ საჭიროებს ამ პირობებს. გარეთ, ბუნებაში სეირნობის შემდეგ, სასურველია შხაპის მიღება და კანის დათვალიერება, განსაკუთრებით ბავშვის, რომ არ გაგვეპაროს ტკიპის კანში ჩაჯდომის ფაქტი და დროულად მოხდეს მოცილება. ტკიპის მოცილება ხდება პინცეტით, კარგად უნდა მოვეჭიდოთ კანთან ახლოს და ფრთხილად ამოვიღოთ, შემდეგ კანი და ხელები დავიმუშავოთ სპირტით. ტკიპა არ გავჭყლიტოთ. არ არის საჭირო ტკიპის ამოსაღებად სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა.

ბორელიოზზე ანალიზის გაკეთებას ტკიპის კბენისთანავე აზრი არა აქვს, 2 კვირა მაინც სჭირდება ანტისხეულების გამომუშავებას. ბორელიოზის სიმპტომები შეიძლება განვითარდეს კბენიდან 3-30 დღის განმავლობაში, იშვიათად, შესაძლებელია უსიმპტომოდაც წარიმართოს. ყველაზე ხშირი სიმპტომია ე.წ. მიგრირებადი ერითემა, ანუ კანზე წითელი ლაქა, რომელიც გარშემო ფერმკრთალია და შემდეგ წითელი რკალით არის გარშემორტყმული. შეიძლება განვითარდეს სხეულის სხვადასხვა ადგილას (ანუ არ არის აუცილებელი ნაკბენის ადგილზე). როგორც წესი, ბორელიის გამონაყარს არ ახასიათებს ტკივილი და ქავილი. სხვა შესაძლო სიმპტომებია ცხელება, შემცივნება, კუნთების და სახსრების ტკივილი. არანამკურნალევ შემთხვევებში, შესაძლებელია შორეული გართულებები, ძირითადად, ნერვული სისტემის მხრივ. ნებისმიერი მწერის ნებისმიერი ნაკბენი არ საჭიროებს ბორელიოზზე მკურნალობას.

ამ თემას არ ეხება, მაგრამ ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთ საკითხს შევეხები. როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანაში ძალიან ბევრი ადამიანია შემოსული რუსეთიდან. პოლიტიკურად ეს რომ უდიდესი პრობლემაა და ყველგან ოკუპანტის ენა ისმის, ძალიან დამთრგუნველია, თუმცა ახლა ჩემს სფეროსთან დაკავშირებულ წუხილზე მინდა გავამახვილო ყურადღება. არაერთი რუსი პაციენტი ყვება (ქალიც და კაციც), რომ ჰყავს ქართველი სქესობრივი პარტნიორი (და არაერთი). მოგეხსენებათ, რუსეთში ძალიან მაღალია აივ ინფექცია/შიდსის გავრცელება. შესაბამისად, ჩემი აზრით, გასათვალისწინებელია ამ ინფექციის საქართველოში სწრაფი გავრცელების რისკი. ცხადია, ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მესვეურებმა ეს რისკი უნდა გაითვალისწინონ და შესაბამისი ზომები მიიღონ, მაგრამ ცალკეულ ადამიანებს რაც შეგვიძლია, მაქსიმალურად გავაფრთხილოთ ჩვენ ირგვლივ მყოფები, აარიდონ თავი ასეთ საეჭვო კავშირებს და არ დაივიწყონ შიდსის (და არა მარტო, ბევრი სხვა ინფექციისაც) სქესობრივი გზით გადაცემის მაღალი რისკის შესახებ.

„პირველი დახმარება“ – ტრენინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, ტუროპერატორებისთვის, გიდებისთვის, კვების ობიექტების და სასტუმროების წარმომადგენლებისთვის ტრენინგი „პირველი დახმარება“ ტარდება.

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, სწავლება მთელი ქვეყნის მასშტაბით: თბილისში, გორში, კასპში, ქუთაისში, წყალტუბოში, თეთრიწყაროში, ბათუმში, თელავში, ამბროლაურში, ზუგდიდში, მესტიასა და სტეფანწმინდაში მიმდინარეობს და ჯამში 250-მდე მონაწილე გადამზადდება. მათივე ინფორმაციით, ორდღიან ტრენინგს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მართავს. სწავლება თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს მოიცავს.

„როგორც კერძო სექტორისთვის, ასევე ნებისმიერი ადამიანისთვის საჭიროა ეს ცოდნა, პირველი დახმარება, რომ ვიცოდეთ როგორ შევუნარჩუნოთ ადამიანს სიცოცხლე. იყო როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ტრენინგი, მონაწილეები მუშაობდნენ მანეკენზე, ვარჯიშობდნენ, თუ როგორ უნდა ჩაეტარებინათ სხვადასხვა მანიპულაცია პირველი დახმარების ფარგლებში“, - განაცხადა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პირველი დახმარების ოფიცერმა ირაკლი წურწუმიამ.

სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სერტიფიკატებს გადასცემს.

„დავესწარი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, „პირველი დახმარება“, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის სექტორისთვის, გიდებისთვის, ტუროპერატორებისთვის, სასტუმროებისთვის, განსაკუთრებით, ამ ცხელ სეზონზე, როდესაც ბევრი ტურისტი გვყავს. ასეთი ტრენინგი ხშირად ტარდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და საქართველოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გადაუდებელი სიტუაციის დროს ვიყოთ მომზადებულები“, - აღნიშნა ტურისტული სააგენტო „გორჯას თრიფსის“ დირექტორმა ლელა ქორჩილავამ.

„მთაში მომუშავე ექიმი საათს არ უნდა უყურებდეს“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მამუკა ღორჯომელაძე *სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ხულოს რაიონული სამსახურის მენეჯერი და ექიმი-ოტორინოლარინგოლოგია, სწავლობს დოქტორანტურაში. ამ დღეებში მას წარმატებული ექიმის დიპლომი გადასცეს. მამუკა ღორჯომელაძე ჩვენი სტუმარია*

- ბატონო მამუკა, კვალიფიციურ ექიმთა უმრავლესობამ ხულო მიატოვა და ქალაქებში გადავიდა სამუშაოდ. რეგალიები არც თქვენ გაკლიათ, მაგრამ მთას არ ტოვებთ. რა ძალა გამაგრებთ?

- ისევ და ისევ წინაპრები, მათი ადათ-წესები, ისინი გამორჩეულად ეფერებოდნენ ადგილის დედას. მათ შორის იყო საქართველოს ორი მოწვევის მაჟორიტარი პარლამენტარი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ღორჯომელაძე, ჩემი მამა. იგი მთის სიყვარულით ცოცხლობდა. მრავალი სამეცნიერო გამოკვლევაც დატოვა. ნაადრევად წავიდა წუთისოფლიდან, საზოგადოებაში კი დიდი სიყვარული დატოვა. მამა მარტო საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობით არ შემოიფარგლებოდა. წლების განმავლობაში სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში აგრარულ თემებზე ლექციების კურსს კითხულობდა. მისი ობიექტურობა ყველას ახსოვს. სადაც სამართლე იყო, იქ იდგა. მისი ავტორიტეტი ყველგან და ყველაფერში მწვანე შუქს მინათებს. ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევა მჭირდება სახელის დასამკვიდრებლად, მამის დონემდე ასამაღლებლად.

- რა არის მთავარი, პროფესიონალი ექიმის სახელის დასამკვიდრებლად?

- სოფლად, ისიც აჭარის მთიანეთში, პროფესიონალი ექიმი ოდითგანვე სანატრელი იყო. სამწუხაროდ, ეს პროცესი ახლაც გრძელდება. ერთ ხანს ხულოს საავადმყოფო მაღალკვალიფიციური ექიმებით იყო დაკომპლექტებული. საამაყოა, რომ აქ დაბადებული და სკოლადამთავრებული ექიმები უკვე არათუ ქვეყნის, არამად უცხოეთის წამყვან კლინიკებში მუშაობენ და კარგი სახელიც აქვთ მოპოვებული. ისეთებიც მახსოვს, რომლებმაც მთელი ცხოვრება, პროფესიული საქმიანობა მშობლიურ ხულოს მოახმარეს. წლებია, თანარაიონელთა სამსახურში ვარ. მიცნობენ, მეფერებიან, მენდობიან. ეს ჯერ კიდევ დასაწყისია. ღურტას ბევრი წარმატებული ადამიანი ჰყავს, მათ შორის, ექიმებიც. ლევან გელაძის სახელსა და ავტორიტეტს გამორჩეულად ვეფერები, რომელიც ექიმი და კარგი პროზაიკოსი იყო. მეც მაქვს პროზაული ნაწარმოების გარკვეული მონახაზი. ამ ნაწარმოების პერსონაჟთა შორის ბაბუაჩემი, მოტეხილობის თვითნასწავლი მკურნალი ლავრენტი ღორჯომელაძეც იქნება. იგი სულ წუხდა, თავის დროზე კვალიფიციური სამედიცინო განათლება რომ ვერ მიიღო. ექიმობაც მისი სიყვარულით ავირჩიე. პროფესიონალი ექიმის სახელის დასამკვიდრებლად ბევრი შრომა, სწავლა და პაციენტების უპირობო სიყვარულია საჭირო.

- ერთ ხანს პოლიტიკაში წასვლაც დააპირეთ...

- ერთხელ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად ვიყრიდი კენჭს. პირველივე ტურიდან დავრწმუნდი, რომ ჩემი მოვალეობა ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა იყო. აქედან უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ქვეყანას, მშობლიურ ხულოს.

- მეტად საჭირო და რთული სამსახურის მენეჯერი ხართ...

- 2 ათეული წლის წინ, გამოუცდელი ჭაბუკი ჩავდექი ხალხის სამსახურში. დღეს კარგად მაქვს გათავისებული, როდის, ვისთვის და რა უნდა ვაკეთო. ადამიანებს მაშინაც ვეხმარები, როცა მშობიარე ქალი ან მძიმე ავადმყოფი თოვლიან გზაზე ციგით გადმოჰყავთ. ზაფხულში არც ზოტიყელში ასვლას გავურბივარ და არც პაციენტს ვტოვებ, როცა ბათუმის თუ თბილისის კლინიკებშია გადასაყვანი. ჯილდოს, წოდებას ფუჭად არ არიგებენ. ახლა გადმოცემული ჯილდო ამ სამსახურში პასუხისმგებლიანი საქმიანობის დასტურია.

- თუ გაიხსენებთ მომენტს, როცა პაციენტს სიცოცხლე დიდი რისკის ფასად შეუნარჩუნეთ?

- რამდენიც გინდათ. პირველადი ჯანდაცვის ექიმად მუშაობა კარგია, მაგრამ დიდ ნებისყოფასა და ძალის მობილიზებას საჭიროებს. სასწრაფომ რომ დაიგვიანა, საკუთარი მანქანის საჭეს მივუჯექი და ტყეში დაზიანებული პაციენტი პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე მივიყვანე. ტყიდან პაციენტის გამოყვანისას მანქანა დამიზიანდა, მაგრამ ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულება, ადამიანის სიცოცხლეზე ზრუნვაა მთავარი და არა ქონების შენარჩუნებაზე. ჯილდოც ადამიანებზე ზრუნვისთვის, მათი პატივისცემისთვის გადმომცეს. ეს არც პირველია და იმედს ვიტოვებ, რომ უკანასკნელიც არ იქნება.

- პროფესიონალი ოტორინოლარინგოლოგი ხართ, ხულოს გარდა, შუახევის საავადმყოფოშიც შეთავსებით მუშაობთ. ქვეყნის რომელ კლინიკაში დაოსტატდით?

- სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში, ქალაქ თბილისის ონკოლოგიურ ცენტრში ბატონ კოტე მარდალეიშვილთან და თბილისის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში, შოთა ჯაფარიძესთან ბევრი ვისწავლე, რასაც ახლა პრაქტიკულ საქმიანობაში ვიყენებ. მათი რეკომენდაციით სწავლა გავაგრძელე სამედიცინო აკადემიის დოქტორანტურაში.

- ალბათ, სადოქტორო დისერტაციის თემაც შერჩეული გაქვთ?

- „სასის ტონზილების ჰისტომორფოლოგიური ანალიზი და ტონზილექტომიის დაზუსტება“, - ასეთია სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება. უკვე პირველი კურსი დავხურე. მეორე კურსის დახურვისთანავე, დაცვასაც ვაპირებ. სხვათა შორის, ეს ნაბიჯი მამის პატივსაცემად გადავდგი. მისი დიდი სურვილი იყო, მეცნიერებაშიც მეთქვა სიტყვა.

- შუბნის პირველადი ჯანდაცვის ცენტრში თითქმის ორი წელია ექიმის ვაკანსია იყო. პირველსავე შემოთავაზებაზე შორეულ სოფლებში სამუშაოდ წასვლა არ დაიზარეთ. დროს როგორ ანაწილებთ?

- მამას მარეთის ხეობაში მრავალი მეგობარი ჰყავდა. პირველ რიგში, მათ დამიყოლიეს, რომ დავთანხმებოდი აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოთავაზებას შორეულ სოფლებში შეთავსებით ექიმად მუშაობაზე. ადგილობრივი მოსახლეობა სიხარულით შემხვდა. ამ ნაბიჯით საკუთარ თავს ერთგვარი გამოცდაც მოვუწყვე. დარჩიძეებში, ტომაშეთში, კობალთასა და შუბანში ახალი მეგობრები შევიძინე. დროსაც რაციონალურად ვანაწილებ. მთაში მომუშავე ექიმი საათს არ უნდა უყურებდეს, არც პაციენტის ჯიბისკენ უნდა გაექცეს თვალი. ერთი გადაცდომაც საკმარისია, რომ ამაგი ქარს გაატანო.

- თვისება, რაც მამისგან გამოგყვათ?

- დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა. ასაკის მიუხედავად, კეთილი ურთიერთობები მაქვს მამის მეგობრებთან. ისინიც გვერდით მიდგანან. მახსოვს ის დღე, როცა მესხეთის ქედზე არსებულ მთა საკამბეჩოში მამის, როგორც პარლამენტარის, ინიციატივით და ბატონ გიორგი თავაძის თანადგომით, დენი გაიყვანეს. ამ წამოწყებამ მომდევნო წლებში მასიური ხასიათი მიიღო და ახლა ხულოში არსებული ყველა მთა ელექტრიფიცირებულია. მამა საქმეს თუ ხელს მოჰკიდებდა, უკან დახევა არ იცოდა. ბათუმი-თბილისის მატარებელზე მგზავრობის ტარიფები რომ გაზარდეს, მისი უშუალო ძალისხმევით, ისევ ადრინდელ ნიშნულს დაუბრუნეს. დღეს მგზავრობის ფასები ქალაქადაც და სოფლადაც საგრძნობლად გაზრდილია.

- შვილებს რას ურჩევდით?

- კეთილსინდისიერად გაეგრძელებინოთ წინაპრებისგან განვლილი გზა. დრო, რომელიც ჩემმა თაობამ გამოიარა, ხიფათიანი და გაუსაძლისი იყო. მათ უნდა იცხოვრონ დამშვიდებულ და ერთიან საქართველოში, ეროვნული ადათ-წესებით.

- საქმემ რომ მოითხოვოს, სოფელს ქალაქზე გაცვლით?

- ერთი დღითაც არა. სოფლის, იქ მყოფი ადამიანების სიყვარულით ვარ ხულოში. ერთ ხანს ქალაქის წამყვან კლინიკაშიც ვიმუშავე, მაგრამ ბარი მთაზე მაინც ვერ გავცვალე.

- გზა, რომელიც დღემდე გამოიარეთ, ნაყოფიერი იყო?

- მგონი, ამ კითხვას პასუხი ნაწილობრივ გავეცი, მაგრამ არ მითქვამს, რომ წლების განმავლობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვიმუშავე. ვიყავი შპს „ხულოს დედათა და ბავშვთა რეგიონალური სამედიცინო ცენტრის“ დირექტორი და შპს „ხულოს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ ხელმძღვანელი. ერთი უკურნებელი სენი არ გვშორდება - როცა ქვეყნის მმართველობაში ახალი პარტია მოდის, ადრინდელ კადრებს უმალვე სამსახურებიდან უშვებენ. ეს საკუთარ თავზე მეც გამოვცადე. საზოგადოება საქმეს მიფასებს და ეს მაიმედებს.

- უცხოეთის რომელი ქვეყნის წამყვან კლინიკაში ისურვებდით კვალიფიკაციის ამაღლებას?

- სიამოვნებით წავალ გერმანიაში. ეს დღეც მალე დადგება. პლასტიკური ქირურგია იქ კარგ დონეზეა. ამ მიმართულებით დახელოვნებას ვაპირებ.

> *„საამაყოა, რომ აქ დაბადებული და სკოლადამთავრებული ექიმები უკვე არათუ ქვეყნის, არამად უცხოეთის წამყვან კლინიკებში მუშაობენ და კარგი სახელიც აქვთ მოპოვებული. ისეთებიც მახსოვს, რომლებმაც მთელი ცხოვრება, პროფესიული საქმიანობა მშობლიურ ხულოს მოახმარეს. წლებია, თანარაიონელთა სამსახურში ვარ. მიცნობენ, მეფერებიან, მენდობიან*

სამედიცინო მომსახურება გაუწიეს

მთა ჩირუხში ზაფხულს შუახევის მუნიციპალიტეტის 20-მდე სოფლის მეცხოველეები ატარებენ

მათ შორის არიან დღვანის ადმინისტრაციული ერთეულიდან ქიძინიძეებელი, დღვანელი და ლომანაურელი მეცხოველეები. მათ სამედიცინო მომსახურებას უწევს დღვანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის მედპერსონალი. ცენტრის ექიმი მაყვალა გოგიტიძე, მედდა თამილა ფუტკარაძე და ა(ა)იპ „შუახევის სოციალური სერვისის ცენტრის“ უფროსი სპეციალისტი მარინა მახარაძე ჯინალსა და მთა ჩირუხის იმ ლოკაციებზე იმყოფებოდნენ, სადაც ზემოთ დასახელებული სოფლებიდან ბავშვები და მემთეურები არიან. მათ პაციენტები გასინჯეს, პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიეს. ზოგიერთს უფასოდ წამლებიც გადასცეს.

პროგრამის ამოქმედებამდე

ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის მეორე სხდომა გაიმართა, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე იმედა ვასაძე ხელმძღვანელობდა.

პროგრამის ფარგლებში სულ 21 განაცხადი შემოვიდა. კომისიის წევრებმა იდეები განიხილეს და იმსჯელეს პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებებთან მის შესაბამისობაზე. ისინი იდეის ავტორებთან ადგილებზე მონიტორინგს განახორციელებენ, რომლის შესახებ ბენეფიციარებს წინასწარ ეცნობებათ. პროგრამის განხორციელების მიზანია ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და ხელშეწყობა, მათი საქმიანობის წახალისება, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

რომელი ქვეყნებიდან ითხოვენ თავშესაფარს საქართველოში 2023 წელს?

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მიგრაციის სტატისტიკით ირკვევა, რომ ამა წლის პირველ ნახევარში საქართველოში თავშესაფარი 515 ადამიანმა ითხოვა

მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებულ მოქალაქეთა რაოდენობა 224 იყო, პირველ კვარტალში კი 291, შესაბამისად, ჯამში, მიმდინარე წლის 6 თვეში ეს რიცხვი 515-ს შეადგენდა.

შსს-ს ინფორმაციით, შარშან სულ 1 473 განაცხადი იყო რეგისტრირებული.

რაც შეეხება ქვეყნებს, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის მაჩვენებლებით საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად ყველაზე მეტი - 104 მოქალაქე უკრაინიდან დარეგისტრირდა.

„ბიზნესპრესნიუსმა“ გამოაქვეყნა იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებმაც 2023 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში თავშესაფარი ითხოვეს:

უკრაინა - 104 მოქალაქე; რუსეთი - 49 მოქალაქე; ირანი - 93 მოქალაქე; თურქეთი - 72 მოქალაქე; ინდოეთი - 17 მოქალაქე.

ამირან გურიელიძე

ურალის ატომური სადგურის პერსონალი ევაკუირებულია

რუსეთში, სვერდლოვსკის რეგიონში, კერძოდ, ურალის ელექტროქიმიურ კომბინატის ურანის გამდიდრების საამქროში ბირთვული საწვავის ცილინდრის ჰერმეტიზაცია დაირღვა. ქარხნის მფლობელი სახელმწიფო კორპორაცია „როსატომი“ აცხადებს, რომ ინციდენტი ლმოსახლეობას რისკებს არ უქმნის და საამქრო გაწმენდილია.

საინტერესოა, რომ სააგენტო „რია ნოვოსტი“ ერთი გარდაცვლილის შესახებ იუწყება, თუმც მის სახელსა და თანამდებობას არ ასახელებს, „როსატომი“ კი ამ ადამიანს „დაჭრილს“ უწოდებს და მისი გარდაცვალებას არ ადასტურებს.

გამოცემა „E1“ იტყობინება, რომ ქარხნის 100-ზე მეტი თანამშრომელს სამედიცინო კვლევა ჩაუტარდება. გამოცემის მიერ გამოკითხული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ურანის ჰექსაფტორიდის შემცველი კონტეინერის დაზიანების შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ეს არა რადიოლოგიური, არამედ ქიმიური საფრთხეა. ნოვოურალსკის (სადაც ქარხანა მდებარეობს) ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ ტიუმენსევმა მოუწოდა ქალაქის მცხოვრებლებს, პანიკას არ აყვნენ და არ გაავრცელონ შეტყობინებები მესიჯებით. „იზრუნეთ საყვარელ ადამიანებზე, აუხსენით მეგობრებს და ოჯახის წევრებს, რომ საფრთხე არ არსებობს. სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება“, - წერს ის VKontakte-ს საკუთარ გვერდზე.

ამირან გურიელიძე

რუსების მეოთხე სატრანზიტო ჰაბი... თბილისში (?!)

„ვნუკოვოსა“ და „აზიმუტის“ ავიახაზების თანამფლობელმა ვიტალი ვანცევმა RBC-ს განუცხადა, რომ თბილისში რუსებისთვის ახალი სატრანზიტო ჰაბი იქმნება, რომლის მეშვეობითაც ევროპაში ფრენა შესაძლებელი გახდება.

„ჩვენი პარტნიორები Georgian Airways-დან რუსი მგზავრებისთვის ტრანზიტის კუთხით კარგ შეთავაზებებს აკეთებენ, ხსნიან ფრენებს ევროპაში - პარიზში, ნიცასა და რომში, სადაც პირდაპირი რეისები ახლა დაკეტილია. შედეგად, რუსები მიიღებენ მეოთხე კარგ სატრანზიტო ჰაბს თბილისში სტამბოლის, ერევნისა და ბაქოს შემდეგ“, - ამბობს ვანცევი.

ცნობისთვის: პირდაპირი ავიამიმოსვლა საქართველოსთან რუსეთმა 2019 წელს ცნობილი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ აკრძალა, რაც რუსეთის დუმის წარმომადგენელ სერგეი გავრილოვის საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძელში ჩაჯდომას მოჰყვა.

ამირან გურიელიძე

„ჩვენს ქვეყანაში დომინანტური პოზიცია მაინც დოლარს და ევროს ექნება“

მე-3 გვერდიდან

რუსეთის ხელისუფლება ჯერ კიდევ სანქციების დაწესებამდე ამზადებდა რუსეთის ეკონომიკის დოლარისგან თავის დაღწევის გეგმას. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი მიხაილ დელიაგინი მაშინ აღნიშნავდა, რომ ეს იქნებოდა იძულებითი პროცესი. დოლარის ანგარიშსწორების შემცირებით რუსეთის ფედერაცია ნაკლებად დაუცველი გახდებოდა სავალუტო სანქციების შემოღების შემთხვევაში. ეს პროცესები რუსეთ-უკრაინის ომმა მკვეთრად დააჩქარა. 2022 წლის დასაწყისიდან რუბლი-იუანით ვაჭრობის მოცულობა რვაჯერ გაიზარდა, ასე რომ, იზრდება არა მხოლოდ ჩინური, არამედ ინდური და რუსული ვალუტების წილიც მსოფლიო ვაჭრობაში და არ არის გამორიცხული, მათ მეოთხე-მეხუთე პოზიცია დაიკავონ დოლარის, ევროსა და იუანის შემდეგ.

- ევროს რა ელის?

- ბოლო პერიოდში ევრო სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. რუსეთ-უკრაინის ომის გამო რუსეთისადმი დაწესებულმა სანქციებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ევროკავშირის ენერგორესურსებით უზრუნველყოფას. რეგიონში პესიმისტური ეკონომიკური პროგნოზების გამო, ევრო დოლართან მიმართებით გაუფასურდა. ამის მიუხედავად, ერთიანი ევროპული ვალუტის წილი მსოფლიო ანგარიშსწორებაში თითქმის 34 პროცენტს უდრის, რაც მხოლოდ ხუთ პროცენტზე ნაკლებია დოლარზე. ის ჯერჯერობით, ნომერ მეორე გლობალურ ვალუტად ითვლება. იუანის გაძლიერებით შეიძლება შესუსტდეს მისი პოზიციებიც, მაგრამ ის მაინც დარჩება გლობალური ვალუტის სამეულში.

- ახლა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც ვისაუბროთ: ექსპორტი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე იმპორტი - ეს რა გავლენას ახდენს ჩვენს ეკონომიკაზე?

- ზოგადად, ექსპორტისა და იმპორტის სხვაობის აღსანიშნავად ეკონომისტები ვიყენებთ წმინდა ექსპორტის ცნებას. როცა წმინდა ექსპორტი იზრდება, ანუ ექსპორტი აჭარბებს იმპორტს, ეს ქვეყნის ეკონომიკისათვის დადებით ტენდენციად აღიქმება, ანუ ქვეყანა უფრო მეტ პროდუქციას აწვდის დანარჩენ მსოფლიოს, ვიდრე მისგან იღებს. როცა პირიქითაა, სხვაობა იფარება ან ინვესტიციების შემოდინებით, ანუ ქვეყნის სხვადასხვა აქტივების გაყიდვით ან სესხის აღებით, ასე რომ, იმპორტის მზარდი ზრდა ექსპორტთან შედარებით, დადებით ტენდენციად ვერ ჩაითვლება და ამაზე დაფიქრება და ზრუნვა ნამდვილად საჭიროა. დაუბალანსებელი ვაჭრობა გავლენას ახდენს აგრეთვე ბიუჯეტის დეფიციტზე, სახელმწიფო ვალზე და სხვა, ამიტომ აუცილებელია, სწრაფად ვიპოვოთ გლობალურ ეკონომიკაში ჩვენი ნიშა იმ დარგების განვითარებით, რომლებშიც შედარებითი უპირატესობა გვაქვს. სამწუხაროდ, დღეისთვის, ძირითადად, ნედლეული გადის ქვეყნიდან, რაც ძარცვის ტოლფასად მიგვაჩნია.

- ლარი გამყარდა, მაგრამ ფასებზე ეს დიდად არ აისახა, ინფლაცია იგრძნობა...

- მიმდინარე ეტაპზე ინფლაცია იმპორტირებულია და ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ შიდა ფაქტორებზე. ისღა დაგვრჩენია, მივიღოთ ეს ფაქტად და ვიზრუნოთ იმაზე, როგორ შევარბილოთ მისი ზეგავლენა როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. ეროვნული სავალუტო კურსის გამყარება „იმპორტირებულ“ ინფლაციას არბილებს, მაგრამ მის დაძლევას ვერ უზრუნველყოფს. ინფლაციის მოსათოკად ჩვენს ქვეყანაში სწორი პოლიტიკა გატარდა, როცა ეროვნულმა ბანკმა აირჩია მკაცრი მონეტარული პოლიტიკა და მაღალ დონეზე შეინარჩუნა რეფინანსირების განაკვეთი. მაგრამ ასეთი პოლიტიკის გატარებასაც აქვს ზღვარი, რადგან იგი უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ამიტომ როგორც კი შემცირდება ინფლაციური წნეხი გლობალური ეკონომიკისაგან, ეროვნულმა ბანკმაც უნდა შეარბილოს მონეტარული წნეხი, რასაც, ფაქტობრივად, ატარებს კიდევაც. ამ მიმართულებით სწორედ ასეთი ფრთხილი, მოზომილი და დაბალანსებული პოლიტიკის გატარებაა საჭირო.

- ექსპერტთა მოსაზრებით, ეკონომიკური ზრდისთვის სულაც არ არის კარგი ლარის გამყარება, ასეა?

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, წმინდა ექსპორტის შემცირება, ანუ იმპორტის მზარდი ზრდა ექსპორტთან შედარებით ამცირებს მთლიან სამამულო პროდუქციის მოცულობას. წმინდა ექსპორტი მთლიანი სამამულო პროდუქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, განსაკუთრებით ისეთი მცირე ეკონომიკის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. წმინდა ექსპორტი კი პირდაპირ კავშირშია სავალუტო კურსთან. როცა ეროვნული ვალუტა მყარდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის ფასების უცვლელობისას, საგარეო ბაზარზე დოლარებში ან სხვა ქვეყნის ვალუტაში გამოხატული მისი ფასი იზრდება. სხვანაირად რომ ვთქვა, როცა ეროვნული ვალუტა მყარდება, ეს აძვირებს ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის ღირებულებას გლობალური ბაზარზე, რაც ამცირებს ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნას, ასე რომ, თუ გვინდა წმინდა ექსპორტის ზრდა და, მაშასადამე, მთლიანი სამამულო პროდუქციის ზრდა, ამაში ეროვნული ვალუტის გამყარება ნამდვილად უარყოფით როლს შეასრულებს. გამოსავალს შემდეგში ვხედავთ: ბოლო პერიოდის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსოფლიო ბაზრებზე ფასების ზრდა სწრაფად აისახება ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებულ საქონელზე მაშინ, როდესაც ფასების შემცირება ნაკლებად ან სრულებით არ აისახება. ამიტომ ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, თუ მსოფლიო ბაზრებზე ინფლაციური პროცესების შერბილების პარალელურად, ეროვნული ბანკი ისეთ პოლიტიკას გაატარებს, რომ ინფლაციური წნეხის შემცირება მსოფლიო ბაზრებზე აისახოს ლარის სავალუტო კურსზეც და მოხდეს მისი გონივრულ საზღვრებში შემცირება. ეს ხელს შეუწყობს წმინდა ექსპორტის ზრდას.

- ციფრულ ფულზე გადასვლა და თანდართული პროცესების რეგულირება როგორ მოხდება?

- ციფრულ ფულზე გადასვლას გეგმავს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი არჩევანი. ძნელია იმის თქმა, როდიდან იქნება ციფრულ ვალუტაზე სრული გადასვლა აუცილებელი, მაგრამ აუცილებელი რომ გახდება, ეს აშკარაა... თუმცა, ვფიქრობ, გარკვეული დოზითა და ვადით შენარჩუნდება ტრადიციული ფულიც. საქართველოს ეროვნული ბანკი უკვე მეორე წელია, ციფრული ლარის პროექტის დანერგვაზე მუშაობს. მისი საპილოტე რეჟიმში გაშვება წელს იგეგმება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს ღია მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც ფინტექ ინოვატორებს საზედამხედველო ჩარჩოს განვითარებაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. ციფრული ფული ხელს შეუწყობს როგორც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ასევე მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ინკლუზიურ ზრდას.

- დაბოლოს, რას ურჩევთ კერძო მოქალაქეებს ამ პერიოდში, როგორ მოექცნენ თავიანთ უცხოურ თუ ეროვნულ ფულს და რამდენადაა დაცული ანაბრები გაციფრების შემთხვევაში?

- ყოველი სიახლე, მით უფრო ტექნოლოგიური, ცხოვრების გამარტივებას ემსახურება, ამასთან, ეს გარკვეული გამოწვევებისა და რისკების წინაშეც გვაყენებს. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა უფრო მეტია, ვიდრე გადახდის კიდევ ერთი საშუალება. ციფრული ლარი უნდა იყოს კომფორტული, თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგებული გადახდის საშუალება. ჯერჯერობით, ციფრული ფულის გამოცდილება სრულყოფილად თითქმის არცერთ ქვეყანას არ აქვს, ის ახლა ინერგება და კონკრეტულ შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. თუმცა რადგან ციფრული ფულის დანერგვის ინიციატივას ეროვნული ბანკი იღებს საკუთარ თავზე, ის ამით გარკვეულ ვალდებულებასაც კისრულობს მოსახლეობის წინაშე და ვფიქრობ, ფულთან და ანაბრებთან მიმართებაში მოსახლეობას არანაირი სერიოზული საფრთხეები არ შეექმნება.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/07/23, 21 ⁴⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

პირველი ნაბიჯები - სარეჟისორო ლაბირინთებისკენ

ორი წარმატებული პრემიერა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრისა და ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში, დრამის რეჟისურის სპეციალობის ორი წარმატებული მაგისტრანტის - ვანო მაღლაკელიძისა და გიორგი ჩავლეშვილის ნამუშევრების ჩვენება გაიმართა თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე.

„კაპელდინერი“ - ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც ვანო მაღლაკელიძემ ბათუმელ დრამატურგ მარიამ სალუქვაძის ნაწარმოების მიხედვით დადგა, როლის თამაში კი ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის მსახიობსა და თავის მეუღლე სალომე დოლიძეს მიანდო. ამბობს, რომ თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა რეჟისორის ამპლუის მორგება, იმასაც ფიქრობდა, რომ თავი დაენებებინა სპექტაკლზე მუშაობისთვის, მაგრამ მეუღლის თანადგომამ მისცა სტიმული, ბოლომდე განეხორციელებინა ჩანაფიქრი. სპექტაკლი თინათინის ისტორიაზე მოგვითხრობს, რომელიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფება და იხსენებს თავისი ცხოვრებიდან მნიშვნელოვან მომენტებს, პერიოდს, როდესაც ის თეატრში კაპელდინერად მუშაობდა და არაერთი სირთულის გადატანა მოუხდა, საუბრობს ნარკოტიკებთან და ალკოჰოლთან მის დამოკიდებულებაზე, გვიყვება ფსიქიატრიულ კლინიკაში არსებულ მდგომარეობაზე, ექიმებისა და ექთნების პაციენტებისადმი დამოკიდებულებაზე...

ვანო მაღლაკელიძისთვის ეს სპექტაკლი პირველია, თვლის, რომ ის შედგა, რაც პირველ რიგში, მსახიობ სალომე დოლიძის დამსახურებაა, რომელმაც ზუსტად მიიტანა მაყურებლამდე რეჟისორის სათქმელი.

- ღამეები არ მეძინა შიშით, როგორი გამოვიდოდა სპექტაკლი, იქნებოდა თუ არა ის, რაც მინდოდა, რომ ყოფილიყო. ეს ჭიდილი საკუთარ თავთან სალომემ დამაძლევინა, დამარწმუნა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და საბედნიეროდ, ასეც მოხდა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამ ყველაფრისთვის, ჩემი ემოციების გაძლებისთვის, ჩვენ ერთმანეთს მივენდეთ. ჩვენი ტანდემი, გარდა იმისა, რომ რეალურ ცხოვრებაში ცოლ-ქმარი ვართ, სცენაზეც შედგა. სპექტაკლით, პირველ რიგში, მინდოდა აქცენტი გამეკეთებინა მაყურებელზე, რომელმაც უნდა იცოდეს, რომ თეატრი არ არის გართობის ადგილი, ის არის სივრცე, სადაც უნდა მიხვიდე, სულიერად განიტვირთო და ემოციებით იმოგზაურო სულ სხვა სამყაროში, რომელიც ბევრ რამეზე თვალს აგიხელს, გამოგაფხიზლებს, დაგაფიქრებს, გაგაბედნიერებს ან დაგასევდიანებს, ბევრ სხვადასხვანაირ ემოციას მოგგვრის და ცოტა ხნით მაინც დაგავიწყებს ყოფით რეალობას. სპექტაკლში საუბარია ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის უდიდეს პრობლემაზე - ნარკოტიკებზე, რომელიც არაერთ ადამიანს უნგრევს ცხოვრებას, მომავალს. სპექტაკლი არაერთ აქტუალურ თემას ეხება და კიდევ უფრო ახლოდან გვაცნობს ერთი ადამიანის განცდებს, ტკივილებს. მინდა მადლობა გადავუხადო პიესის ავტორ მარიამ სალუქვაძეს. მართალია, არ ვიცნობ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კარგად წერს, ჩემს განწყობებთან ახლოსაა მისი შემოქმედება. ასევე მადლობას ვუხდი სპექტაკლის მუსიკისთვის ბაჩანა დოლიძეს, რომელსაც მომავალშიც მივმართავ. კიდევ ერთხელ მადლობა არაჩვეულებრივ მსახიობ სალომე დოლიძეს და ყველა გულშემატკივარს, რომელთა თანადგომის გარეშე შეუძლებელია იყო წარმატებული, - გვითხრა მსახიობმა და სპექტაკლის „კაპელდინერი“ რეჟისორმა ვანო მაღლაკელიძემ.

სპექტაკლის „ეჭ ჯო“ რეჟისორი და მსახიობიც გიორგი ჩავლეშვილი გახლავთ. იგი ირლანდიელი მწერლისა და დრამატურგის სემუელ ბეკეტის ნაწარმოების მიხედვით დადგა, სადაც ავტორი გვეუბნება, რომ „მოგონებები კლავს. ამგვარად, თქვენ არ უნდა იფიქროთ კონკრეტული მოვლენების შესახებ, ან უმალ უნდა იფიქროთ, რადგან თუ ასე არ მოიქცევით, არსებობს საფრთხე მათი აღმოჩენისა თქვენს გონებაში, ანუ თქვენ უნდა იფიქროთ მათ შესახებ მცირე ხანს, კარგა ხანს, სანამ ისინი სამუდამოდ არ დაინთქმებიან მიწის ქვეშ, ასეთია წესი“.

რატომ გადაწყვიტა, თავად მოერგო მსახიობის როლიც, ამის შესახებ გიორგი გვიამბობს:

- არაერთი პიესა წავიკითხე, თუმცა არჩევანი გავაკეთე იმაზე, სადაც საკუთარი თავი, საკუთარი სათქმელი ყველაზე მეტად დავინახე. სათქმელი არის ის, რომ შინაგანი ხმა, რომელიც გვესაუბრება სინდისის სახით, შეიძლება კარგისკენ გვიბიძგებდეს, შეიძლება - სუიციდისკენაც, თუმცა უნდა მოვუსმინოთ ბოლომდე, მივიღოთ, ვაღიაროთ შეცდომები, რათა განვდევნოთ ისინი ჩვენგან და დავიწყოთ ახალი ცხოვრება. რაც შეეხება სპექტაკლს, ასე თუ ისე, კმაყოფილი ვარ საკუთარი ნამუშევრით. მადლობა თითოეულ ადამიანს გამხნევებისთვის და გვერდში დგომისთვის.

მაგისტრანტებს წარმატებული სპექტაკლები მიულოცა ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა თემურ კეჟერაძემ.

- ვანო მაღლაკელიძეს და გიორგი ჩავლეშვილს ვულოცავ სამაგისტრო პროგრამის დრამის რეჟისურის წარმატებით დასრულებას. ვფიქრობ, ორივე სპექტაკლი იყო არაჩვეულებრივი, მინდა დიდი წარმატება ვუსურვო მათ მომავალში. მიმაჩნია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო ორი სადიპლომო ნამუშევრის მხილველნი გავხდით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხანგრძლივობას ვადა ამოეწურა, თუმცა 2025 წლისთვის კვლავ ექნება უნივერსიტეტს სამაგისტრო პროგრამა დრამის რეჟისურაში, შესაბამისად, რეჟისურით დაინტერესებულ პირებს კვლავ ექნებათ შესაძლებლობა, მომართონ უნივერსიტეტს, - აღნიშნა თემურ კეჟერაძემ.

გიგი პაქსაძე ევროპის ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

უნგრეთში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 15 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში, რომელშიც აჭარისა და საქართველოს ნაკრების წევრი, ბათუმელი მოჭიდავე გიგი პაქსაძე მონაწილეობდა.

38 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიგიმ ნახევარფინალსა და ფინალში რუსი სპორტსმენები დაამარცხა და ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი დაიმსახურა.

როგორც მისმა პირადმა მწვრთნელმა, აჭარისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების მწვრთნელმა მინდია შაინიძემ გვითხრა, ბათუმელი სპორტსმენი, რომელიც ხუთი წელია მასთან ვარჯიშობს, არაერთი რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. წარმატებით იასპარეზა ყაზბეგში ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე, შემდეგ რუმინეთში, საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ევროპის ჩემპიონატის წინ ეგრეთ წოდებული მოთელვა იყო, პირველ ადგილს დაეუფლა.

აგვისტოს დასაწყისში ბრაზილიაში ოლიმპიური ფესტივალი ტარდება. გიგიმ, სხვებთან ერთად, ამ ფესტივალისთვის მზადება უკვე დაიწყო.

ვულოცავთ გიგი პაქსაძეს და მის მწვრთნელს ამ დიდ წარმატებას და ახალი მწვერვალების დაპყრობას ვუსურვებთ!

ორი - ოქრო, ორი - ვერცხლი, ერთი - ბრინჯაო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97



საბერძნეთში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კრივში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი იბრძოდა. საქართველოს სახელით აჭარის ასაკობრივი ნაკრები გამოვიდა და აღსანიშნავია, რომ ექვსი სპორტსმენიდან ხუთმა სხვადასხვა სინჯის მედალი დაისაკუთრა. ტურნირი, რომელიც საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე, კერძოდ, ქალაქ ჰერაკლიონში ჩატარდა, კვალიფიცირდება, როგორც საკმაოდ მაღალი დონის ღონისძიება და სასიხარულოა, რომ იქ ჩვენმა ბიჭებმა საქართველოს ჰიმნი ორჯერ ააჟღერეს. ოქროს მედლის მფლობელები დემურ ქაჯაია (67 კილოგრამი წონითი კატეგორია) და ანრი ყულეჯიშვილი (57 კგ) გახდნენ. ვერცხლის მედლები დომა ფუტკარაძემ (48 კგ) და მიხეილ ქავჟარაძემ (50 კგ) დაისაკუთრეს. საბა პაპაძე ბრინჯაოს მედალს დასჯერდა (70 კგ). სპორტსმენები შეჯიბრებისთვის მწვრთნელებმა გელა აბაშიძემ და გოჩა აბაშიძემ მოამზადეს. აღსანიშნავია, რომ გელა აბაშიძეს ამ რამდენიმე ხნის წინ მსოფლიო კატეგორიის ასოციაციამ მწვრთნელობის ერთი ვარსკვლავი მიანიჭა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს - თავის აღსაზრდელს მაღალი დონის შეჯიბრებებზე - მსოფლიო პირველობასა და ოლიმპიადაზე, თან ახლდეს, იმუშაოს საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად. ამჟამად აჭარის ნაკრები საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება, რომელსაც პოლონეთი 3 აგვისტოს უმასპინძლებს.